მემორანდუმი

საქართველს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობასა და შპს „თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 12 07 2021 წ.

საქართველს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობას (შემდგომში „ასოციაცია“) წარმოდგენილი, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, **ნანა აღაპიშვილის** სახით და **შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი”**, (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის, ირინე არჯევანიძის სახით, აცნობიერებენ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, და გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზნები

1.1. მემორანდუმის მიზნს წარმოადგენს თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების და საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლა;

1.2. მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ლექცია/ტრენინგები, კონფერენციები.

1.3. „უნივერსიტეტი" გამოყოფს ფართს, „ასოციაციასთან"-თან შეთანხმებული დროის კონკრეტული (წინასწარ შერჩეული) მონაკვეთით, სადაც „ასოციაციას" შეეძლება დაგეგმოს და ჩაატაროს ტრენინგები, ლექციები, შეხვედრები და სხვა ღონისძიებები, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით, წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

1.4. „ასოციაცია", დაინტერესების შემთხვევაში უზრუნველყოფს „უნივერსიტეტის" აკადემიური პერსონალის და სტუდენტების დასწრებას მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

1.5. აღნიშნული მემორნდუმის განხორციელების მიზნით, მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლოა განხორციელებულ იქნეს ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებს პასუხობს.

2.მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

2.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

2.3. მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს რომელიმე მხარის მხრიდან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან 1 თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების დროისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

2.4. ცვლილებები მემორანდუმში საჭიროებს მხარეთა თანხმობას და სრულდება წერილობითი ფორმით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით.

3.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

3.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და მემორანდუმის ფარგლებში და მის გარეთ განხორციელებული ქმედებებით ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

3.4. თუ თანამშრომლობის პროცესში, წინასწარ ურთიერთშეთანხმებული მომსახურების მიღება წარმოიშობს ფინანსურ ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

4. ცვლილებები და დამატებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

5.მხარეთა ურთიერთობა

5.1. ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.